

# თურქეთი და ქურთული საკითხი

იზა წიკლაური

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტზე სოციალური მეცნიერებების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

საერთაშორისო ურთიერთობები

სამეცნიერო ხელმძღვანელი: გიორგი სანიკიძე, პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი 2018

## განაცხადი

*”როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.”*

იზა წიკლაური

22.06.2018

## აბსტრაქტი

XXI საუკუნეში მიმდინარე პროცესებიდან გამომდინარე, აქტუალობას იძენს ახლო აღმოსავლეთში არსებული პრობლემები. კერძოდ, ჩემი დიდი დაინტერესება გამოიწვია მეზობელი ქვეყნის, თურქეთის სახელმწიფოებრივმა მიდგომებმა, ხედვებმა და ისეთმა გადაუჭრელმა საკითხმა, როგორც ქურთების საკითხია. ახლო აღმოსავლეთის რეგიონში ქურთული პრობლემა წარმოადგენს ტერიტორიული, რელიგიური, ეთნიკური, პოლიტიკური და ეკონომიკური წინააღმდეგობების კომპლექსს, რომელიც უშუალო გავლენას ახდენს როგორც დასავლეთის, ასევე რეგიონალური ძალების ინტერესებზე. თურქეთის საგარეო პოლიტიკა იკვეთება ისეთ წამყვან ქვეყნებთან, როგორც არის რფ და აშშ. ამიტომ ვთვლი, რომ თურქეთი არის ის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ქვეყანა საქართველოსთვის, რომლის მიერ გადადგმული ნაბიჯები საერთაშორისო ასპარეზზე დიდ როლს თამაშობს. თურქეთი საქართველოს მთავარი სავაჭრო პარტნიორია და დიდწილად ჩვენი ქვეყნის ეკონომიკურ სტაბილურობას განაპირობებს. შესაბამისად, არასტაბილური ვითარება თურქეთში ისედაც მოწყვლად რეგიონულ უსაფრთხოების გარემოს კიდევ უფრო დიდი რისკის ქვეშ აყენებს. ერთ-ერთი სერიოზული გამოწვევა თურქეთისთვის სწორედ ქურთების საკითხია. იქიდან გამომდინარე, რომ ქურთებს არ გააჩნიათ სახელმწიფო და მათი რაოდენობაც თურქეთში დიდია, ხშირ შემთხვევაში ქურთების სწრაფვა დამოუკიდებლობისაკენ, თურქეთის ტერიტორიულ მთლიანობას საფრთხის ქვეშ აყენებს.

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს მათი პოლიტიკური მიზნები - ქურთისტანის სახელმწიფოს შექმნის მოთხოვნა, რისთვისაც წლების განმავლობაში იბრძვიან. ქურთები უამრავი გამოწვევის წინაშე დგანან, რადგან თურქეთის ხელისუფლება უმეტესწილად უარყოფით დამოკიდებულებას იჩენს მათი უფლებებისა და მოთხოვნების მიმართ. ქურთული სეპარატიზმი ათწლეულების განმავლობაში რჩება თურქეთის უმთავრეს პრობლემად, რაც სერიოზულ გავლენას ახდენს ქვეყნის სოციალურ, ეკონომიკურ, პოლიტიკურ თუ საზოგადოებრივ პროცესებზე, არის

სამოქალაქო დაპირისპირების მაღალი პოტენციალის მატარებელი და საფრთხეს უქმნის ქვეყნის კონსტიტუციურ წყობას. თურქეთის სახელმწიფოს საშინაო პოლიტიკა კრძალავდა ქვეყნის შიგნით ეროვნული უმცირესობის არსებობის აღიარებას. თურქეთში მცხოვრები ნებისმიერი ეთნოსის საზოგადოებრივ-კულტურული მოთხოვნები კანონით ისჯებოდა. ოფიციალური ანკარის ასეთმა პოლიტიკამ ქურთული მოძრაობის მილიტარიზაციისა და მის სამხედრო დაპირისპირებაში გადაზრდის პროვოცირება მოახდინა.

ახლო მომავალში, ქურთული სახელმწიფოს შექმნის შესაძლებლობის შანსი მინიმუმადე არის დაყვანილი რადგან, თურქეთი ქურთებს არ მისცემს დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნის საშუალებას. მიუხედავად ერაყის ქურთისტანში ჩატარებული რეფერენდუმის შედეგისა, სადაც ქურთების უმრავლესობამ დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნას დაუჭირა მხარი, მისი პრაქტიკული განხორციელება გაურკვეველი ვადით არის გადადებული. სავარაუდოა, რომ ერაყის ქურთისტანის მთავარი პოლიტიკური ფიგურის მასუდ ბარზანის ინტერესებში მიმდინარე ეტაპზე, არ უნდა შედიოდეს დიდი ქურთისტანის სახელმწიფოს შექმნა, რადგან შესაძლოა, ეს მისი მთელი ძალაუფლების დაკარგვის წინამძღვარი გახდეს. ასეთი სავარაუდო სახელმწიფოს შექმნის შემთხვევაში ერაყის ქურთები უმცირესობაში აღმოჩნდებიან თურქეთის ქურთებთან შედარებით. ამასთანავე, თურქეთის ქურთების კულტურული და სოციალური დონე ბევრად უსწრებს ერაყელი, სირიელი და ირანელი ქურთებისას. შესაბამისად, სავარაუდოა, რომ წამყვანი ძალა ერთიან ქურთულ სახელმწიფოში თურქეთის ქურთები იქნებიან.

**ძირითადი საძიებო სიტყვები:** თურქეთი, ქურთული საკითხი, ახლო აღმოსავლეთი, ქურთები, გამოწვევა, სახელმწიფო, ქურთისტანი, პარტიები, კონფლიქტი.

## Abstract

Taking into consideration the existing issues of the 21 century in the Middle East, I took a keen interest to carry out this research on a neighbouring state, namely Turkey's approaches and viewpoints towards unresolved problems of Kurds. The Kurdish problem in the Middle East seems to be a complex of territorial, religious, ethnic, political and economic resistance, which impacts directly on the interest of the west and regional power. Turkish foreign policy cultivates ties with the leading countries such as the Russian Federation and the USA. Thus, I reckon Turkey is one of the important countries to Georgia that plays a crucial role on the international arena. In addition, Turkey is a principal trading partner ensuring the economic stability of our country. Therefore, the unstable environment in Turkey undermines a fragile security of the state leading to a bigger danger. In the case of Kurds, who aspire for independence while they do not possess a state and they are numerous in population in Turkey, they pose a threat to the Turkish territorial integrity.

Meticulous attention should be paid to their political goals, especially to establish an independent state, they have been trying to achieve for centuries. It is acknowledged that Kurds are facing considerable challenges from Turkish negative attitudes regarding their rights and demands. Kurdish separatism still remains the major problem for Turkey. It greatly influences the country's social, economic, political and public processes; it bears a full potential for a civil war and poses a threat to a constitutional structure. Turkish internal policy has even negated the identity of ethnic minority. All social-cultural expressions of the non-Turkish people in Turkey were punished. Such harsh political climate provoked the militarization of Kurdish movement and the escalation of military conflict.

It should be noted that there is a slight chance for Kurds to establish an independent state in near future. Turkey will not express good will towards Kurds, who support the idea, however, the referendum has been held in Iraq Kurdistan concerning the independence of the nation. I suppose Masud Barzani, a figure of authority, is reluctant to harbour Kurdish people's ambitions as it could mean the loss of power. In fact, it is obvious that such an action will result in the minority of Iraq Kurds population compared to Turkish Kurds. Meanwhile, the cultural and social level of Turkish Kurds surpasses that of Iraq, Syria and Iran Kurds. Consequently, there is no doubt that Turkish Kurds will be a driving force in the entire Kurdish state.

**Keywords:** Turkey, Kurdish issue, Middle East, Kurds, challenge, government, Kurdistan, parties, conflict.

## მადლობა

სამაგისტრო ნაშრომის მომზადებაში დიდი წვლილი მიუძღვის ჩემს აკადემიურ ხელმძღვანელს, პროფესორ გიორგი სანიკიძეს. მთელი ამ სემესტრის განმავლობაში მისი დამოკიდებულებისა და გაწეული შრომის გარეშე, შეუძლებელი იქნებოდა ამ ნაშრომის მომზადება.

მოხარული ვარ, რომ ჩემი სამაგისტრო ნაშრომის მომზადების პროცესი მთლიანად ბატონ გიორგისთან ერთად წარიმართა.

მისი მეშვეობით შევძელი მიმართულების სწორად განსაზღვრა და ნაშრომის დასაწერად საჭირო მასალების მოგროვება, დახარისხება, სტრუქტურის შედგენა. ნაშრომის წერის დროს გაჩენილ ბევრ შეკითხვაზე შესაბამისი პასუხების გაცემა მხოლოდ ჩემი ხელმძღვანელის აქტიურობისა და მხარდაჭერის შედეგია.

მადლობას ვუხდის პროფესორ გიორგი სანიკიძეს თანამშრომლობისთვის, რადგან მისი კომპეტენტური და პროფესიონალური რჩევების გარეშე კვლევის სწორად წარმართვა შეუძლებელი იქნებოდა.